# სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

# დადგენილება №15

## 2024 წლის 1 ივლისი

## ქ. სამტრედია

**,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე**

**მუხლი 1**

**1.** „სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შესახებ“ საქართველოს კანონის, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,დ“ ქვეპუნქტის „დ.ბ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის შესაბამისად, ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 9 იანვრის №1 დადგენილებაში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, ვებგვერდი, 10.01.2017; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 210020010.35.120.016220) შეტანილ იქნეს ცვლილება.

**2.** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 9 იანვრის №1 დადგენილების მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„მუხლი 2**

**1.** სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელები არიან პირები, რომლებიც ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას ლატარიებით, აზარტული და მომგებიანი თამაშობებით და ასეთი საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად ექვემდებარება ნებართვით რეგულირებას (გარდა სისტემურ-ელექტრონული ფორმით სამორინის თამაშობების ორგანიზების ნებართვის ან/და სისტემურ-ელექტრონული ფორმით სათამაშო აპარატების თამაშობების ორგანიზების ნებართვის მფლობელებისა, თუ ასეთი ნებართვა მიღებული არ არის სამორინის მოწყობის ნებართვის ან/და სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის საფუძველზე).

**2.** სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის გადამხდელია აგრეთვე „ლატარიების, აზარტული და მომგებიანი თამაშობების მოწყობის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ლატარიის მომწყობი (ორგანიზატორი).“.

**3.** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ“ სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 9 იანვრის №1 დადგენილების მე-3 მუხლის:

**ა)** ,,გ“-ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„გ)** სამორინის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული სამორინის თამაშობები, სათამაშო აპარატების სალონის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული სათამაშო აპარატების თამაშობები, ტოტალიზატორის მოწყობის ნებართვის საფუძველზე გაცემული სათანადო ნებართვის შესაბამისად სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული ტოტალიზატორის თამაშობები;“;

**ბ)** „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„დ)** ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის

სხვაობა;''

**გ)** ,,ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**„ე)** აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის მოწყობის ნებართვის საფუძველზე ორგანიზებული ობიექტის გარეთ განთავსებული, სისტემურ-ელექტრონული ფორმით ორგანიზებული აზარტული ან/და მომგებიანი თამაშობის სალარო.".

**4.** ,,სამტრედიის მუნიციპალიტეტში სათამაშო ბიზნესის მოსაკრებლის შემოღების შესახებ" სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 9 იანვრის №1 დადგენილების მე-4 მუხლის:

**ა)** „დ" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**,,დ)** სისტემურ-ელექტრონული ფორმით მოწყობილ თამაშობებზე:

**დ.ა)** სამორინის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

**დ.ბ)** სათამაშო აპარატების თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი;

**დ.გ)** ტოტალიზატორის თამაშობებზე – კვარტალში 250 000 ლარი";

**ბ)** „ე" ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

**ე)** ლატარიების მოწყობაზე – ლატარიის რეალიზებული ბილეთების ჯამურ ღირებულებასა და საპრიზო ფონდს შორის სხვაობის 10%;".

**მუხლი 2**

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

**სამტრედიის მუნიციპალიტეტის**
**საკრებულოს თავმჯდომარის** **ვაჟა სტურუა**
**მოვალეობის შემსრულებელი**